

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“

დადგენილება #აც-0879-20  
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის  
დადების შესახებ

20.08.2020წ.

ქ. თბილისი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისია;

2. საქმის განაიღვის თარიღი: 2020 წლის 20 აგვისტო.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

გურამი ხუდოევი პ/ნ 01601122872 ქ.თბილისი, ზაპესი ჭიჭინაძის N 12 ბ.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2020 წლის 20 თებერვალს ქ.თბილისში, ზაპესში, ჭიჭინაძის ქუჩაზე, აბონენტ ნათელა გორგაძის (აბ.4110231712) მრიცხველი მოიხსნა და შემოწმების მიზნით გაიგზავნა ლაბორატორიულ შემოწმებაზე. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 15 ივლისის N 003986920 ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად: აბონენტის ელექტრო მრიცხველს გარეშე მექანიკური ზემოქმედებების შედეგად, ბჯენები არ გააჩნია. მრიცხველის კორპუსის სამაგრ ჭანჭიკებზე, მოხსნა-დაყენების კვლეობა. მარჯვენა სამაგრი ჭანჭიკი, მოშვებულ მდგომარეობაშია, რის გამოც მრიცხველის კორპუსის ზედა და ქვედა ნაწილი ერთმანეთისგან ნაწილობრივ დაშორებულია და მათ შორის ღრიჭოა წარმოქმნილი, ხოლო შიდა მთვლელი მექანიზმის გორგოლაჭებზე, გარეშე საგნის მექანიკური ზემოქმედების კვლეობა. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N ას008338 სადაც სამართალდამრღვევად მიჩნეულ იქნა ადილზე ქირით მცხოვრები გურამ ხუდოევი (პ/ნ 01601122872). გურამ ხუდოევის მიერ განხორციელებული (სამართალდარღვევა) წარმოადგენს პირველ შემთხვევას, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2020 წლის 19 აგვისტოს ელექტრონულად გამოგზავნილი ინფორმაციით. გურამ ხუდოევს ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, 2020 წლის 20 აგვისტოს ის გამოცხადდა მის მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის განხილვაზე. გურამ ხუდოევმა კატეგორიულად უარყო მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, თუმცა მისი პოზიციის გამამყარებელი ექსპერტიზის დასკვნის გამაბათილებელი არცერთი მტკიცებულება არ წარმოუდგენია ამდენად, კომისია უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი; შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია; შეტყობინება.

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“

ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (საქმეში ასევე წარმოდგენილია აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი #A664987 სადაც აღნიშნულია რომ ადგილი ჰქონდა, ელ.ენერგიის დატაცებას) რომელთა მეშვეობითაც დგინდება გურამი ხუდოევის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ასკ 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. დაცულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით; მე-10; 38-ე; 228<sup>2</sup>-ე; 236-ე; 264-ე; 266-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით; 267-ე; 271-ე; 273-ე მუხლებით; სემეკის 12.08.10წ. #14 და 18.09.2008წ. #20 დადგენილებებით; ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 16.09.2009წ. # RU2010009 წესით, 23.05.2019წ. #OR2019028 ბრძანებით და

### და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. გურამი ხუდოევი პ/ნ 01601122872 ცნობილ იქნას ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ა.ს.კ. 96<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილების სახით.

(სამართალდამრღვევის ჩამდენი პირის დაახელება)

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15 000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი:

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ნიკოლოზ გოგიტიძე  
კომისიის თავმჯდომარე